20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

24/09/2025 N 31

თბილისი

სს „ნიკორას“ (ს/ნ: 200050675) ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის (ფქსსნ) მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის მე-8 და მე-13 პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის №73/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 13 თებერვლის №36/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სს „ნიკორას“ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი და სს „ნიკორას“ საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი 60,000,000 (სამოცი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაციებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 2700605183.
2. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს სს „ნიკორას“ საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ობლიგაციებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ეკატერინე მიქაბაძე

პირველი ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი